





# დღისური.

მოხალისეები მთიელების წინააღმდეგ ჯარებს აგრობენ. ფიქრობენ ამ დღეებში გროზნაზე იერიშები მიიტანონ.

გერმანიის დემოკრატიული პარტია დათანხმდა მთავრობის შემადგენლობაში მონაწილეობა მიიღოს.

ტრანსილვანიაში ნეგრებმა მოთხოვნილება წარადგინეს, რომ უფლებებით თეთრკანიანებს გაუთანასწორონ.

ინგლისში რკინის გზის მოსამსახურეები გაიფიცენ.

ადერბეიჯანის გარეშე საქმეთა მინისტრმა პარიზის კონფერენციის მიერ დანიშნულ უმაღლეს კომისარს ჰასკელს დეპეში გაუგზავნა, სადაც აწერილია მთიელთა ტრადელია და მოითხოვს დადებული იქნეს დემარკაციული ხაზი მოხალისეებსა და მთიელებს შორის.

„ფოსიშე ცვიტუნგის“ გადმოცემით მიხეილ რომანოვი პერმიდან გაიქცა. ამ უამად იგი კოლჩაკის სამხედრო ბანაკში იმყოფება.

ლითად აგრარული — მაგრამ, უეჭველია, ეს რეფორმა მიზანშეუსაბამო არ იქნება და წარმოებას ძირს არ გამოუთხრის, როგორც, მაგალითად, „ხომერის“ მიწის-კანონმა ძირითად მოუთხარა ჩვენს მეურნეობას.

უნდა აღვნიშნო კიდევ ერთი რამე. ნაწილობრივი სოციალიზაცია სწორეთ ჩვენშია განხორციელებული.

მაგალითად, რკინის გზის სადგურებისა და ფოთის ნავსადგურის მტვირთველი მუშები რომ თავისი ხელფასს რესპუბლიკის მთავრობის და უკითხავად აწესებენ, საქონლის შემოზიდვას და გადატან-გადმოტანას აფერხებენ და მით სიძვირეს ასკეცებენ, ეს — ნაწილობრივი სოციალიზაცია არის.

კერძო ქარხნებს რომ მუშები განაგებენ, მწარმოებელს რომ მუშების დათხოვნა არ შეუძლია სალიკვიდაციოს მიცემის შიშით, სახელმწიფო მამულები, რკინის გზა და ნავსადგური რომ ხაზინას არაფერს აძლევენ, რადგან მთელი შემოსავალი მუშებსაც კი ვერ ისტუმრებს, ესეც ხომ ნაწილობრივი სოციალიზაციის ბრალია.

დასასრულ დაქირავებული შრომის გაუქმება მიწის მოქმედებაში ე. ი. მიწების პარცელაცია, დაკუწვა, და გაუზგებესებული მეურნეობის განადგურება — დამახინჯებული უცნაური, ნაწილობრივი სოციალიზაციაა.

არა! გერმანიის მეუმრავლესე სოციალ დემოკრატები მეტად ჭკუადამჯდარი და აუჩქარებელ ხალხია რომ ქართველი მენშევიკების მიერ გამოწვრილი სოციალური რეცეპტი ირწმუნონ და სახიფათო საკატასტროფო სოციალური ექსპერიმენტების განხორციელება აწარმოონ!

შეუძლებელია!

ვასილ წერეთელი.

## პრესა.

ქუთათური „სოციალ-დემოკრატი“, თავის უფროს ძმას „ერთობა“, აპყვა და ხონელების დაპატიმრების შესახებ აღაპარაკდა.

რაშია საქმე?

ხონის საზოგადოებამ განურჩევლად რწმენისა და მდგომარეობისა მოითხოვა ქალაქ ხონის გაუქმება და ქალაქის თვითმართველობის ნაცვლად წვრილი ერთეულის შემოღება.

სოც.-დემოკრატიული საქმეები და ბებისა და სოფლების ქალაქებათ გარდაქმნის შესახებ ისეთ საფუძველზეა აგებული, რომ მოსალოდნელია ყველა პატარა ქალაქებზე უარი განაცხადონ, რის მაგალითებიც ჩვენ უკვე ვაქვს.

თვითეულ ამ ქალაქების საზღვრებში მოტენულია დიდძალი სოფლები და გლეხობას არ სურს თავს იღვან ქალაქის ხარჯები, რომელიც მართველმა პარტიამ მათ თავს დაატეხა. მეორე მხრით აგრარული რეფორმა მათ აშინებს და ეს არის მიზეზი ქალაქის უარყოფისა.

ხონელების დაპატიმრებაც ამ ნიშანს ადაგზე მოხდა, მაგრამ „ერთობა“ და „სოციალ დემოკრატი“ განგებ იბრმავებენ თვალს და ყველაფერს რეაქციონერებს აწერენ. ჩვენ ვერ წარმოგვიდგენია მთელი რაიონი, რომელიც განსაკუთრებით სოციალისტებისაგან შესდგება რეაქციონერი იყოს.

ეს „სოციალ-დემოკრატსაც“ სჯერა მაგრამ მაინც სწერს:—

„ხონელ რეაქციონერებს დამცველი გამოუჩნდათ, ნაც-დემოკრატების პარტიამ ხმა აღიმადლა, თავისი პრესა ალაპარაკა და დამკრებაში შეკითხვაც შეიტანა. იგი ძლიერ აღელვებული არის იმის გამო, რომ მთავრობამ ხონელი რეაქციონერი რამდენიმე ვაჭარი მთავრობის საწინააღმდეგო მოქმედებისთვის ერთი თვით დაატუსაღა.“

უნდა მოვახსენოთ „სოც.-დემოკრატებს“, რომ ეროვნულ-დემოკრატიული პარტია და მისი პრესა ყოველთვის აღიმადლებს ხმას, როდესაც უსამართლობას დაინახავს.

რაც შეეხება დაპატიმრებულ ხონელებს ისინი მარტო ვაჭრები კი არ არიან, არამედ მათ შორის იმყოფებიან, ინტელიგენტები, მუშები და გლეხებიც. არის აგრეთვე თქვენი პარტიის და სოც.-ფედერალისტთა პარტიის წევრებიც.

იცოდეთ ეს და ქორებს ნუ ავრცელებთ.

# ნაკვთები.

III

ცოცხლები.

უსაქმო ქუთათის უსაქმო ხალხით აივსო.

მრავალმა ჯურის ხალხმა მოიყარა თავი.

„ბულვარდის“ კიდე და საზოგადო საკრებულო გულუხვი მასპინძელია ასეთი ტიპებისა.

უსაქმო ხეტიალით, ქეიფით

და მუღმივი „სკანდალებით“ ხასიათდებიან ისინი.

და კითხვა იბადება რით სცხოვრობენ, რით საზრდოობენ ოცდაოთხ საათს რომ დასეირნობენ და არაფერს აკეთებენ!..

რა პროფესიის ხალხი არიან ისინი!..

ძველადაც იყვნენ ასეთი ხალხი ჩვენში.

უწინაც „ბულვარდის“ კიდე და კლუბს აფარებდნენ თავს.

მაგრამ მსოფლიო ომით გამოწვეულ დაუსრულებელმა მობილიზაციებმა დროებით გააქრო ისინი.

რევოლიუციის ქარტეხილში კვლავ ამოტივტივდნენ და საზოგადოებას ზედმეტ ბარგად დააწვენენ.

ძველათაც იყო და რევოლიუციის თანდათანობით მსვლელობაში განვითარდა ჩვენში ერთი ხელობა:—

ცოცხლების გატაცება.

ამ ხელობას ჩვენში არა აქვს დიდი ხნის ისტორია.

დედრობითი სქესის ცოცხლებს იტაცებდნენ ქაბუკები, მაგრამ სხვა მიზნით.

ესლა კი მამრობითი სქესისა იტაცებენ.

ცოცხლები ტყეებში მიჰყავთ საგარაკოთ, სანამ მათი პატრონები ტყეების სტუმრებს უხმარ ასიათასებს არ გაუგზავნიან.

ცოდვილები ვართ აღამიანები, ისეთი ეჭვები გაგვივლის აზრათ, რომ მაღალი ღმერთი არ გვაპატიებს, მაგრამ მაინც ვფიქრობ:—

ეს უსაქმო ხალხი, ხომ არ არის ცოცხლებს რომ იტაცებენ?!

ის ასიათასიანები ხომ არ არის დაუსრულებელ ქეიფში რომ იფლანგება?!

ოი მაღალო! შემინდე, რამე თუ შეგცოდე მე.

კაინი.

# ახალი ამბავი

ქუთათისი.

დაღესტნიდან ჩამოსული პირების გადმოცემით მთაში ასეთი ეტუზიანში შამილის შემდეგ აღარ ყოფილა.

ინგუშების ყაზახების და ოსების შეთანხმება. განზრახულია კავკავში მოიწვიონ ინგუშების, ყაზახების და ოსების წარმომადგენელ-

თა ყრილობა, რომლის მიზანია ხალხის მორიგება.

ახალი ამბავი. საქართველოში. ინგუშების ქართული ენის სწავლების პროგრამას არაქართული სახელწოდებისათვის.

ქალთა მეორე გიმნაზია. ქალთა მეორე გიმნაზიაში სწავლება, სასწავლებლის შენობის უბნების გამო დროებით შეწყვეტილია.

საეროზო არჩევნები ახალი ამბავი. ახალციხეში საეროზო არჩევნები 28 ოქტომბერს მოხდებოდა.

ბოლშევიკების დატუსაღება. რაჭაში დაატუსაღეს ბოლშევიკები, კბილაძე გოსეჩიშვილი და გაჩხრეკის დროს მათ აღმოაჩინდათ სეთიდან ჩამოტანილი ფული და აგვიწვირ-მოწვირა, სადაც ნათლად ნაჩვენები როდესაც რაჭაში მოხდინათ გამოსვლა. დაატუსაღეს ქუთათისში აგრეთვე ჭიათურელი ბოლშევიკი ალექსანდრე ვაშაძე, ჭიათურიდან იყო გაქცეული იმალებოდა.

სამომრიგებლო კამერა. დღეების მომრიგებელ სამართველ კამერა ერობის განკარგულებით დატანილი იქნება ჭოგინის აბანოთან, რადგანაც ეს შუა ადგილს ხსენებული საზოგადოებისა.

ქურდობა 28 სექტემბერს. გეგუთის ქუჩის შესახვევში დედლაძეს სამზარეულოდან მოპარეს ფუთი სიმინდის ფქვილი.

სომხეთში მუსულმანების შევიწროება. ადერბეიჯანის გარეშე საქმეთა მინისტრმა ჯაფაროვმა რაპის ყველა სახელმწიფოებს რაჭაში გაუგზავნა სადაც აღნიშნულია სომხეთში მუსულმანების დევნა.

დატუსაღება. ბოლშევიკების იდეების გავრცელებისათვის დატუსაღეს და საგუბერნიო ციხეში დაათავსეს აკაკი კობახიძე.

არონ ჩაჩაშვილის გამტაცების შეპყრობა. ქუთათისის ხალხის სამართლის მილიციის უფროსმა ი. სულაქველიძემ დაპატიმრებულ ფიხო ამშიკაშვილი, რომელიც მთავარი ორგანიზატორი იმ „შაიკური“ რომელმაც გაიტაცა ქ. ონიან არონ ჩაჩაშვილი.

ქურდობა. ერთი ხანია მუშაქუჩის ქუჩაზე მიხეილ ნიკოლოზის ძე მიხაილოვის ბინიდან ხდებოდა და სისტემატიური ქურდობა. ქუთათისის სისხლის სამართლის მილიციის აღმოაჩინა ქურდი, რომელიც აღაპარაკდა იმავე სახლში მცხოვრები ალექსანდრე ფიტომირსკი და კალნაძე, ამ უკანასკნელს აღმოუჩინებინა ჩხრეკის დროს ნაწილი ნაპარაკებისა.

მიცვალებულის ვაცარი. 25 სექტემბერს მეორე წყალგულუნის კომისარმა დაპატიმრა კოდ მიხეილის ძე ჯღამაძე, რომელმაც გოჭოურის სასაფლაოზე გაუღწია





კოტე ვახტანგის ძე ბალათუ-საფლაოვი.

**ტუსაღების განზრახვა. 26**

ტუსაღების განზრახვა 26 იანვარს დაიწყო. ტუსაღების განზრახვა 26 იანვარს დაიწყო. ტუსაღების განზრახვა 26 იანვარს დაიწყო.

**კავკასიის საკითხი**

(საქ. დეპუტატთა სააგენტო)

გერმანიის ეროვნულ ყრილობის დასავლეთის რუსული მთავრობის მოწოდებას მიიღებს რევოლუციური მოლაპარაკებაში.

საქართველოს 27 იურივეში ლატვიის და ესტონიანდის რევოლუციური მინისტრები და საგარეო მინისტრების კონფერენცია დაიწყო. რუსეთის საბჭოთა მთავრობის საზავო წინადადებას.

ესტონიასა და რუმინიის წარმომადგენლები ამ დღეებში შეიკრიბებიან დაპეტში ეკონომიურ ურთიერთობის აღდგენის საკითხის გადასაწყობად.

გერმანიის ეროვნულ ყრილობის დასავლეთის რუსული მთავრობის მოწოდებას მიუთითა იმაზე, რომ ესტონიასა და რუმინიის წარმომადგენლები ამ დღეებში შეიკრიბებიან დაპეტში ეკონომიურ ურთიერთობის აღდგენის საკითხის გადასაწყობად.

გერმანიის ეროვნულ ყრილობის დასავლეთის რუსული მთავრობის მოწოდებას მიუთითა იმაზე, რომ ესტონიასა და რუმინიის წარმომადგენლები ამ დღეებში შეიკრიბებიან დაპეტში ეკონომიურ ურთიერთობის აღდგენის საკითხის გადასაწყობად.

გერმანიის ეროვნულ ყრილობის დასავლეთის რუსული მთავრობის მოწოდებას მიუთითა იმაზე, რომ ესტონიასა და რუმინიის წარმომადგენლები ამ დღეებში შეიკრიბებიან დაპეტში ეკონომიურ ურთიერთობის აღდგენის საკითხის გადასაწყობად.

საბრუნებლად. გერმანიის მთავრობამ მაღლობა გამოუცხადა იტალიის სამხედრო მისიას.

ბერლინის რკინის ჩამომსხმელ ქანების გაფიცვა ისე არ გაძლიერებულა, როგორც მოელოდნენ. სოციალისტები თანდათან მეტ გავლენას პოულობენ მუშებზე და სცდილობენ წინააღმდეგობა გაუწიონ გაფიცვებს.

ტიროლის პარლამენტმა ერთხმად მიიღო შემდეგი რეზოლუცია: „საზავო ხელშეკრულება ეწინააღმდეგება ვილსონის პროგრამას და მოსპობას უქადის გერმანულ ტიროლს, რომელიც მიუხედავად მცხოვრებთა მიერ ნათლად გამოთქმულ სურვილისა, სამშობლოს უნდა ჩამოაცალონ“.

**კავკასიის საკითხი ინგლისში**

სტამბოლიდან მიღებულ ცნობებით ინგლისში თემთა პალატის გარეშე საქმეთა კომისიაში ამ მოკლე ხანში სპარსეთის პროტექტორატის საკითხთან ერთად განხილულ იქნა კავკასიის საკითხიც. უმრავლესობის აზრი გამოუთქვამს, რომ სპარსეთზე პროტექტორატის უზრუნველსაყოფად საჭიროა ისეთ პოლიტიკის წარმოება, რომელიც განამტკიცებს ინგლისის ნაბიჯებს სპარსეთში. ინგლისის უმაღლესი წრეები მხარს უჭერენ ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების დამოუკიდებლობას, ვინაიდან ჯერ ისევ სადავო საკითხი რუსეთის მთლიან მთავრობის შესახებ.

**საზავო ხელშეკრულება და ამერიკა**

სენატორმა ნოკსმა სენატში საზავო ხელშეკრულების რატიფიკაციის წინააღმდეგ წარმოაქმნულ სიტყვაში განაცხადა: ძნელი არ არის გერმანიის, რუსეთის და იაპონიის კავშირის შეკვრის წინასწარმეტყველება ეს კავშირი ჩაუდგება ოპოზიციის ხალხთა ლიგას და იმდენად ძლიერი იქნება, რომ საბოლოოდ დააკციოს დასავლეთი ევროპა“.

დასასრულ ნოკსმა მოუწოდა შეერთებულ შტატებს კონფერენციიდან ჩამოშორება და უარის თქმა როგორც გერმანიის მიღებულ გადასახადზე ისე მის ტერიტორიაზე.

**სამართალმოს მისიის შეპყრობა მოსკოვში**

უკრაინაში მყოფ ქართველ დიპლომატიურ მისიის მიერ მიღებულ ცნობებით საბჭოთა მთავრობას შეუპყრია როგორც მძევლები და ბუტირის ციხეში მოუთავსებია ქართველ საეჩოს წევრები და თვით ელჩი ხუნდაძე. მიზეზად ასახელებენ იმ გარემოებას, რომ ქართულმა მთავრობამ კავკასიიდან გამოქცეულ ბოლშევიკების მეთაურები შეიპყრო.

**კავკასიის დამოუკიდებლობა (ლექსი\*)**

აქ ყოფილა, გვიფაღვარებებს ჰგონია თუ ვიტყვით რამეს, მაგრამ როგორ გავბრძვიდებით განა ცოტა ჩაგვაზნამეს?..

იპას ვიტყვით, რაც რომ მაგას ბევრათ არად იამება, საბეზლარი ეპისტოლე მოუცდება, გაუზნება.

უჰ, რა ფარისეველია, გაიძვერა, მეღა-კულა, ჩვენი ქვეყნის საბეზლართ ზურგს ჰკიდია ცოდვის გულა...

თვით პირადათ კარგათ არის— ტკბილათ, თბილათ დაიბუდა, თვისიანის გამყიდველი ეგ კაენი, ეგ იულა!..

ადე, ადე კარში გადი, მამბეზლარო, შე იულა, ცარიელი მიუტანე შენ გამოგზავნეს შენი გულა.

\* ეს ლექსი ავტორმა წაიკითხა თბილისის ქართ. თეატრში 1903 წელს ოკტომბერში ქართ. სალიტერატურო სადამოზე, რომელზედაც, რომ არაფერი საწინააღმდეგო თქმულიყო, მთავრობის მიერ გზირათ იყო შემოგზავნილი მთავრობის მოხელე— „ქართველი“ ჩინოვნიკი“.

**რუსეთი**

**რუმინია დენიკის ეხმარება.**

ოლდესაში მივიდა რუმინიის ოთხი ნაღმოსანი, რომელმაც მიიყვანა რუმინიის ჯარი. ჯარის უფროსმა ინახულა მოხალისეთა არმიის უფროსი და რუმინიის მთავრობის სახელით დახმარება აღუთქვა ბოლშევიკებთან ბრძოლაში.

**ყუბანში.**

ეკატერინოლარში დიდი მზადებაა ყუბანის რადის არჩევნებისათვის. მენშევიკებმა და ესერებმა თავიანთი სიები გამოაქვეყნეს.

**ტროცკის მატარებლის აფეთქების განზრახვა.**

ამას წინად მოსკოვში აღმოჩენილ შეთქმულებიდან გამოიკვია, რომ შეთქმულებს მოსკოვის სასახლეთა და საწყობთა აფეთქებისათვის ერთად განზრახული ჰქონდათ აფეთქებისათ ტროცკის მატარებელიც, როცა იგი ბაქან უსაჩეცკს მიუახლოვდებოდა, სადაც მათ დამზადებული ჰქონდათ დინამიტი და პატრუქი და მორიგეობით ჰყარაულობდნენ. აღნიშნული განზრახვა შეთქმულებმა სისრულეში ვერ მოიყვანეს, რადგან საზრეთის ფორტზე დიდი ბრძოლების გამო ტროცკი მოსკოვს დროზე ვერ დაბრუნდა. გაზეთების ცნობით ტროცკის მატარებელი მოხალისეებს ტყვედ ჩაუვლიათ.

**ბოლშევიკების ჩამოგდება მოსკოვში.**

გაზეთ „აზერბეიჯანში“ დაბეჭდილია შემდეგი ცნობა: ტფილისიდან მი-

ღებულ ცნობებით მოსკოვში მომხდარა უსისხლო გადატრიალება. ძალია უფლება ხელთ ჩაუვდეს ათ იმ სოციალისტურ პარტიის კოალიციას, რომელსაც აღიარებს ანტანტა. მთავრობის სათავეშია ვიქტორ ჩერნოვი. გადატრიალება მომხდარა ბოლშევიკების დავალებით, რომელთაც ჰსურთ შეაჩერონ ამით დენიკინის გალაშქრება მოსკოვზე.

**რუსეთი**

**ოსმალეთის მთავრობის გადადგომა.**

გაზეთების გადმოცემით. ოსმალეთის მინისტრთა კაბინეტი გადადგარა. სტამბოლში ჯერ გამოკვეთული არ არის ვის მიანდობენ მთავრობის შედგენას.

**რევოლუციის ორი წლის თავი.**

წითელი რუსეთი ოქტომბრის რევოლუციის ორი წლის თავის აღნიშვნისათვის სამზადისშია. შესდგადღესასწაულის მომწყობი კომისია კამენევის, ლუნაჩარსკის, ნევესკის, მალკინის და კასტროვის მონაწილეობით. ცენტრალურ სადღესასწაულო კომისიას გადაეცემა 50 მილიონი მანეთი.

**სამხედრო კავშირი.**

ჰელსინგფორსიდან იტყობინებიან, რომ სტოჰოლმში დაიწყო მოლაპარაკება; ესტონიის ლიტვის, ლატვიის და უკრაინის წარმომადგენელთა შორის. მიზანი მოლაპარაკებისა არის სამხედრო კავშირის ჩამოგდება ამ სახელმწიფოთა შორის.

**რუსეთის ვალი და სილვზია.**

პოლონეთი საფრანგეთს რუსეთის ვალიდან აძლევს 18 მილიარდს, სამაგიეროთ პოლონეთს აძლევენ სილვზიას.

**სპარტაკელთა დაპატიმრება.**

რამოდენიმე ქალაქში და განსაკუთრებით ბერლინში სპარტაკელთა რამდენიმე ლიდერი დააპატიმრეს. ათ აღმოაჩნდა დაწერილებითი გეგმები საიდანაც სჩანს, რომ ისინი აპირებდნენ სხვა ქვეყნების და განსაკუთრებით ჩეხოსლოვაკიის კომუნისტებთან ერთად მუშაობას. შედგენილი იყო დასაპატიმრებელ და სამართალში მისაცემ პირთა სიები. ბევრი ფიქრობს, რომ სპარტაკელების გეგმების აღმოჩენა მომავალისთვის შეუძლებელს ხდის მათ მუშაობას.

**ნეიტრალურ ზონაზე სომხების თავდასხმა.**

ბორჩ. მაზრის ნეიტრალ ზონის კომისარის ალ. ლორთქიფანიძისაგან შინაგან საქმეთა მინისტრმა შემდეგი დებემა მიიღო ალავერდიდან: 24 ეკენისთვის სომხეთის სოფელ დისიხის მცხოვრებნი რიცხვით სამასი კამდე კომისრების მეთაურობით თავს დაესხნენ ნეიტრალ ზონის ს. კორინჯის მცხოვრებთ და წაასხეს 1600 სული ცხვარი, 4 კამეჩი, 2 ძროხა და მოჰკლეს მწყემსი ავაქ ჩილინგაროვი. ამ ბოლო ხანში გაძლიერდა მკვლე-



ლობა და ძარცვა გლახთა, განსაკუთრებით აირუმის და ყულფის რაიონში. ძარცვა გლეჯაში მონაწილეობას იღებენ სომხეთის დევურტირები, რომელნიც მრავლად გადმოდიან დელიენის მაზრიდან. კომისარი ლორთქიფანიძე სთხოვს მინისტრს მიიღოს სომხეთის მთავრობამ ყველა ზემო აღნიშნულ ფაქტების წინააღმდეგ ზომები.

**გიორგი ნიკოლოზის კანონალიანი.**

(წყალტუბელი).

სექტემბრის 26-ს ქ. ხაშურში გარდაიცვალა იქაური გიმნაზიის მასწავლებელი და საზოგადო მოღვაწე გიორგი იოსელიანი, მწერლობაში — „წყალტუბელი“. განსვენებული დაიბადა სოფ. წყალტუბოს 1847 წ., იყო ლარბი აზნაურის შვილი; პირველ-დაწყებითი განათლება მიიღო ქუთაისის სასულიერო ოთხკლასიან სასწავლებელში, რომლის დამთავრების შემდეგ იგი, როგორც ნიჭიერი მოსწავლე, მაშინდელი იმერეთის ეპისკოპოსის გაბრიელის განკარგულებით გაგზავნილ იქნა თბილისის სასულიერო სემინარიაში საეკლესიო ხარჯით. სემინარია დაამთავრა საუკეთესო მოწაფეთ, რის გამოც მთავრობამ გაგზავნა მოსკოვის სასულიერო აკადემიაში, რომელიც დაასრულა კანდიდატის ხარისხით და სინოდის განკარგულებით 1871 წ. დაინიშნა თბილისის სასულიერო სემინარიის მასწავლებლად; ამავე სემინარიაში ერთხანს ასრულებდა ინსპექტორის თანამდებობას. 1873 წლიდან თბილისში დაარსდა სამასწავლებლო ინსტიტუტი და გიორგი ამ სასწავლებელში მიიწვიეს მასწავლებლად, სადაც გაატარა მან 16 წელი. ინსტიტუტში გიორგი ასწავლიდა ღვთისმსახურებას, აგრეთვე რუსულსა და მსოფლიო ისტორიას. მაშინ ინსტიტუტში ქართულ ენას ადგილი არ ჰქონებია; ამიტომ მას მრავალჯერ აღუძრავს საკითხი ამ საგნის სწავლების შესახებ. ეს გახდა ბოლოს მიზეზით, რომ გიორგიმ თავი დაანება ინსტიტუტს და იგი მიიწვიეს თბილისის სათ.-აზნაურო გიმნაზიაში, სადაც მსახურებდა რამდენსამე წელს. პენსიის დამსახურების შემდეგ, მან ცოტა ხანს დაისვენა, ამ ბოლო დროს კი ისევ მიიწვიეს ხაშურის გიმნაზიაში ქართული ენის მასწავლებლად; ამ გვარად განსვენებული ორმოცდა რვა წლის განმავლობაში მოღვაწეობდა საპედაგოგო სარბიელზე, ამავე დროს მონაწილეობას იღებდა სხვა და სხვა კულტურულ განმანათლებელ საზოგადოებაში და თანამშრომლობდა ქართულ ჟურნალ გაზეთებში „წყალტუბელის“ ფსევდონიმით. გიორგი იოსელიანი მუდამ დარაჯათ უღვა ჩვენებურ საზოგადო საქმეებს; იგი იყო მოსარჩლე ქართველი ერისა და იმისი ენის,

როგორც სიტყვით, ისე კალმით; მას ბევრი ბრძოლა შეხვედრია მხრუნველის იანოვსკის დროს სამეგრელოს სკოლებიდან ქართული ენის გამოდენის გამო. ასეთ შემთხვევებში იგი იყო გაბედული კალმოსანი. განსვენებული თანამშრომლობდა გაზ. „ნივერია“-ში, შემდეგ კი სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთებში. მისი შედგენილია „მოკლე ლოლიკა“, სურათებიანი „ვეფხისტყაოსანი“, რომელიც გადმოღებულია ყრმათათვის და დიდ სამსახურს უწევს მოზარდთაობას, აგრეთვე სხვა წიგნებიც. თავის ყოფილსა და დღევანდელ მოსწავლეთა შორის განსვენებულს ჰქონდა დამსახურებული დიდი სიყვარული და პატივისცემა. იგი გარდაიცვალა დაბადებიდან 72 წლის —

საუკუნოდ იყოს ხსენება შენიღბილს და მისი აღმდგენი და მასწავლებელთა მასწავლებელი!

**ლადო ბზვანელი.**

**სარკვევანი სოფლად.**

შორაპანი. 14 ეკენისთვის შორაპანის რაიონის სამკითხველოების სასარგებლოთ ადგილობრივმა სცენის მოყვარებებმა დასდგეს წარმოდგენა. სამკითხველოებს ფული გამოლოდა გაზეთის გამოსაწერად და თეატრის ადმინისტრაციას პარასკევს გადაეწვიტა კვირისათვის წარმოდგენის გამართვა. მოიწვიეს სცენის მოყვარეები და მათის თანხმობით აირჩიეს ორი პიესა: „დატრიალდა ჯარა“ და „ექიმის ფული.“ ამ პატარა დროის მომზადების შემდეგ პიესები გვარიანათ ჩაატარეს. თვის როლს ყველა შესაფერისათ ასრულებდა. მონაწილეობას იღებდნენ: ქალებში ლარისა და ოლღა წულუკიძის ასულები. ლუბა სახალა-შვილის ასული. ვაჟებში: მიშა კვაჩაძე, კოწია ქაძუშაძე, შალიკო გაჩეჩილაძე და კ. ჩაჩავა. ყველა მონაწილენი მადლობის ღირსნი არიან, რომ ასე ენერგიულათ ეპყრობიან საზოგადო საქმეს. და მართლაც არაფერ არ მოელოდა ასე უცებ წარმოშობილ წარმოდგენის ასე ჩატარებას. საზოგადოება მრავლათ დაესწრო და ნასიამოვნებაც დაიშალა, წმინდა შემოსავალი 809 900 მანეთამდე იყო, რომელსაც იმედია დანიშნულლებისამებრ მოიხპარებენ.

**შორაპანის შემართანე.**

**კომისარის თავგასულობა სოფლად.**

უფარგისმა კომისარებმა სოფელი უკვე აიკლეს. მათი მოქმედებით საზოგადოება შეწუხებულია. ამ გარემოებას „ერთობაც“ (რ. № 120) აქცევს ყურადღებას და ბეჭდავს საჩხერიდან გამოგზავნილ კორესპონდენტის. რადგანაც ეს კორესპონდენტი საყურადღებოა, ჩვენს გაზეთშიდაც ვბეჭდავთ.

„სამი კვირაა, რაც საჩხერის რაიონის კომისარად დაგინიშნეს პოდპორუჩიკი მახარაძე. გვეგონა მაზრის ერობის გამოგზავნილი კაცი საიმედო ადმინისტრატორი გამოდგებოდა მაგრამ მწარედ მოგტყუვდით. რაც აქ მან ამბები დაატრიალა, ვეჭვობ სადმე უპატრონო ქვეყანაში მოიმოქმედოს კაცმა. მის თავგასულობას საზღვარი არ უჩანს, მაგრამ რაც მან მოიმოქმედა 12 აგვისტოს, ეს ძნელი ასაწერიცაა. ამ დღეს ის ეწვია თავის ძმით სტუმრად სხვებთან ერთად ვლად. კირვალის სოფელ სხვიტორში. საღამოს 6 საათიდან დილის 4 ს. ქეიფობდნენ. იმათი ღრიალით და ყვირილით სოფლებს მოსვენება არ ჰქონიათ მთელ ღამეს. 4 ს. შემდეგ გარდა კომისარისა ყველას დაეძინა, თვითონ კომისარი კი თავის ბინაზე წამოვიდა, რომელსაც გამოჰყვა მასპინძელი კირვალის, ამ დროს იქვე ახლოს გაზეთ ნახა ტყეში მიმავალი სოფლის მუშები, რომელთაც ტყის მცველი მიხ. კირვალისე უშინჯავდა ნებართვის ბარათებს შეშის გამოტანისას. ვისაც ჰქონდა ნებართვა, იმას ტყისაკენ უშვებდა, ვისაც არ ჰქონდა, იმას ადგილს უჩვენებდა სად უნდა აეღო ნებართვა. კომისარმა, ძალზე დვინით გაღეწილმა, დაინახა რა ეს ხალხი, მიადახა: „ვინა ხართ თქვენო“ — ტყის მცველმა უპასუხა, რომ ისინი ტყის მუშებია და ნებართვით უშვებს ტყისაკენ. კომისარმა მოსთხოვა მცველს, რომ თუ ვინმე უწევს წინააღმდეგობას, იქვე მოკლას. ტყის მცველმა უპასუხა: მე წინააღმდეგობას არაფერ არ მიწევსო. კომისარმა მინც შეჰყვირა ყველა მუშებს უკან გაყოლოდენ კომისარიატში. ცამეტამდე კაცი იყო. გაზეთ კომისარმა თვალი მოჰკრა ერთ ახალგაზრდას, სოფ. სხვიტორის მცხოვრებს ბიკ. ზამბახიძეს, რომელიც მიდიოდა იქვე წყალ გაღმა. კომისარმა ამოიღო მაუზერი და 6 ჯერ ესროლა. სროლის დროს 16 წლის ახალგაზრდა შეშინებული მიწაზე დაეცა. ამ დროს მივარდა მას და ცემა დაუწყო. თურმე კომისარს ეგონა, რომ დაპატიმრებული ტყის მუშათაგანი გაექცა. ასე ახალგაზრდა ზამბახიძეს უდანაშაულოდ სცემა ძალზე. სროლაზე, რასაკვირველია, სოფლები გარეთ გამოცვიდნენ, შეშინებულები ზოგი იძახდა ოსები შემოგვესიენ და ზოგი კაცი მოკლესო. კომისარმა შეშინებას გლეხები არ დააჯერა, ფეხშიშველა ხალხიც დააკავა. ყველა ესენი წაიყვანოს კომისარიატში. გაზეთდ შეხვდა მიხეილ ასანიძე, რომელიც პურის გასალეწავათ მიდიოდა კალოზე. კომისარმა ისიც დააკავა და უმიზეზოთ სცემა და მაუზერის კონდახს თავპირში სცემდა. ხსენებული ასანიძე ახლაც მწოლიარე ავთიმყოფია გალახულობის გამო. ყველა ეს ხალხი, დაახლოვებით 30 კაცი, გაღეწილმა კომისარმა კომი-

სარიატში მიიყვანა. კომისარად მაგრამ ზამბახიძეს მივართვა რევერით და საკვლავით უსუქ მაგრამ ტყის მცველი ვახუშტი კომისარი უბრძანებს მილიციურებს და საპატიმროში ამწყვე ყველას გარდა გალახულ ასანიძეს მხოლოდ მაშინ გაანთავისუფლ ყველას, როცა კარგა გამოძინლი მეორე დღეს მიდის სატუსაში ანთავისუფლებს მხოლოდ ვინც 28 წლის ზევით არის წლებით დაახლოვებით. დანარჩენს სთხოვს თავისუფლების მოწმირადგანაც ისინი დევურტირითვლებიან.

ასეთია ჩვენი რაიონის კომისარ და საჭიროა ასეთი მოქმედებისა ის მიეცეს სამართალში.

დამსწრე

**კორესპონდენცია**

სოფ. ახალდაბა. (ტყიბული რაიონი). ეს სოფელი ძლიერ ჩაწინილია მეზობელ სოფლებთან დარებით სწავლა განათლების მხლდესაც როდესაც მთელი დაბასლები სკოლებით აივსო განახლებსახელმწიფოს მთავრობის მიერ სოფელი მინც უსკოლოთ რჩება, ური მღვდლის ნიკოლოზ გაბევილის წყალობით, რომელიც ცლობს რომ ამ სოფელში სიბნედიდხანს იარსებოს და სწავლა-განლების სხივმა არ შეაშუქოს, რგან ხალხის სიბნელით მეტ სარლობას მოეღოს; როდესაც ადგილობრივმა მცხოვრებმა მასწავლებელმთავრობასთან რათა ახალდაბის ფელს მიცემოდა სკოლა. მთავრკიდეც დაპირდა თხოვნის ასრულებმაგრამ როდესაც ეს ამბავი გაგებელაშვილმა ველარ მოითმინა, სექტემბერს საღამოს რვა საათზე მოვარდა სოფლის მოედანზე თავორი ქალიშვილით, შეკრიბა მცხრებლები და სამთავემ მიჰყვეს ხეპროვოკატორობას „არიქა ხალარ დაილუპოთ თავი, ხელი არ მოწეროთ სკოლის მოცემის თხოვნათორემ იმდენი გადასახადს მოგთხო მთავრობა ძვლიან რბილიან გაბტვებსო, ეხლანდელი მთავრობა უვებსო, სოთაც იმდენ გარდასახადს გიმდებსო, რომ თქვენი შვილი-შვილებიც ვერ მოესწრება სიღარიბიფხის ამოდგმასო“. ეს ფაქტი შეძლია დავამტკიცო მაყურებლებდაკითხვით და ვითხოვ ვისგანაც არს მიექცეს ყურადღება ამ საზოლარ მოვლენას, რომ ასეთ გამოლებს კვლავ მინც აღარ ექნეს გილი სოფლად უმისოდაც უვხალხში.

**მელიტონ კუბლაშვილი**

რედაქტორი — სარედაქციო კოლეგია